



განხილულია მედაგოგიური საბჭოს

სხდომისა და გადაწყვეტილება № 7

28.06.2024წ

ვამტკიცებ:

სკოლის დირექტორი

ალ. ჯავახიშვილი

### სკოლის პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ წესებსა და მექანიზმებს პერსონალის უფლებების დაცვის, მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის მიმართულებით.

სკოლასა და პერსონალს შორის ურთიერთობები ეფუძნება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

## 2. შინაგანაწესი

2.1. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე <https://albion.ge/>, აღნიშნული ასევე გაწერილია სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2.2. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

2.3. თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს:

2.3.1. იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

2.3.2. სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

2.3.3. თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის დირექტორის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

2.3.4. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

2.3.5. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

2.3.6. ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;

2.3.7. ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

2.3.8. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ ;

2.3.9. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ;

2.3.10. ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;

2.3.11. შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ა.შ.

2.3.12. თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

- 2.3.13. დასაბუთებული უარი თქვას სკოლის მიერ დაწესებული სასკოლო ფორმის ტარებაზე
- 2.3.14. ფლობდეს ინფორმაციას სკოლის წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ

### 3. სასკოლო სასწავლო გეგმა

- 3.1. სკოლის ყველა პერსონალს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე <https://albion.ge/>. გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.
- 3.2. მასწავლებელს უფლება აქვს:
- 3.2.1. მოითხოვოს სრული საათობრივი დატვირთვა იმ საგანში/საგნობრივ ჯგუფში, რომელშიც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;
- 3.2.2. ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;
- 3.2.3. მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება, დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;
- 3.2.4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული გადამზადების ან სწავლისთვის მოითხოვოს ანაზღაურებისგარეშე შვებულება ხანგრძლივობაც წელიწადში 30 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს;

### 4. სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

- 4.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის მიერ სკოლის მასწავლებლის ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ პირს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია ისან-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;
- 4.2. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;
- 4.3. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

- 4.4. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს შრომით-სამართლებრივ საკითხებში მათი უფლებების დაცვისთვის მიმართოს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს.
- 4.5. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შ.პ.ს. არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“  
დირექტორ ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილს  
ამავე სკოლის თანამშრომლის

პ.ნ \_\_\_\_\_

ტელ \_\_\_\_\_

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

\_\_\_\_/\_\_\_\_/\_\_\_\_

განმცხ.

განხილულია პედაგოგიური საბჭოს

ვამტკიცებ:

სხდომის №7

სკოლის დირექტორი

28.06.2024 წ.

 ალ. ჯავახიშვილი



მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების  
დაცვის მექანიზმები

## წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ წესებსა და მექანიზმებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის, მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის მიმართულებით.

სკოლა ცნობს და იცავს ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებას, გაეროს ბავშვთა კონვენციის ოთხი პრინციპის მიხედვით:

- ✓ სიცოცხლე - ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება;
- ✓ განვითარება - ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება
- ✓ დაცვა - ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის შეზღუდვებისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისგან;
- ✓ მონაწილეობა - ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი და მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

სკოლის მიზანია უზრუნველყოს მოსწავლის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადება მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

სკოლა ქმნის უსაფრთხო სასკოლო და საკლასო კლიმატს, უზრუნველყოფს წამახალისებელ სასწავლო გარემოს.

სკოლია ხედვა ორიენტირებულია ბავშვთა უფლებების დაცვა/აღიარების გატარებასა და დანერგვაზე, მათ პატივისცემაზე. ამასთან მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სხვათა უფლებების დაცვა, როგორც უმთავრესი ფასეულობა

## 1. მუხლი 1. ზოგადი დებულებები

### 1.1. დოკუმენტის მიზანი და ამოცანები

1.2. სკოლაში რეალიზდება მოსწავლის ერთ-ერთი ფუნდამენტური - განათლების უფლება. სკოლა ვალდებულია იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე. მოსწავლეთა უფლებებისა და დაცვის პროცედურების მიზანია განსაზღვროს მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევების ამოცნობის და რეაგირების წესები.

1.3. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებთან ღია ურთიერთობასა და აქტიურ მოსმენაზე, ყველა ბავშვის მიმართ თანასწორ მიდგომასა და აზრის გამოთქმის საშუალების მიცემაზე და იმგვარი მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, სადაც ნებისმიერი საკითხის განხილვა და გაზიარება იქნება შესაძლებელი. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/მეურვეების/ მზრუნველების (შემდეგში კანონიერი წარმომადგენლები) სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

1.3.1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი;

1.3.2. სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

1.3.3. სკოლას ჰყავს როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრის დაცვა;

1.3.4. სკოლას ჰყავს ექიმი;

1.3.5. თითოეულ კლასს ჰყავს აღმზრდელი;

1.3.6. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა;

1.3.7. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ქცევის წესები

### 1.4. სამართლებრივი საფუძვლები

1.4.1. წინამდებარე დოკუმენტის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №437, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“

1.4.2. ბავშვზე ძალადობის ექვის გაჩენის შემთხვევაში სკოლაში დასაქმებული ყველა პირი ხელმძღვანელობს 2023 წლის 10 მაისის 1/02-83 სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციით.“

## 2. მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები

2.1. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის აღმზრდელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა.

2.2. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის აღმზრდელის მიერ ეცნობება ყველა მოსწავლეს.

2.3. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

2.4. მოსწავლეს უფლება აქვს:

- 2.4.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- 2.4.2. სკოლაში ყველა მომსახურების მიწოდებისას მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში არსებული კონფიდენციალური კონსულტაციის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების პროცედურებისა და მექანიზმების და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.
- 2.4.3. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
- 2.4.4. მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს.
- 2.4.5. მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ მოსწავლის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.
- 2.4.6. მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით.
- 2.4.7. კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.
- 2.4.8. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
- 2.4.9. ფლობდეს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;
- 2.4.10. საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სკოლის, დირექტორს, სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომის, მისი ასაკის შესაბამისი, მოსწავლისადმი ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, მოსწავლის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი.
- 2.4.11. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ
- 2.4.12. მოითხოვოს სწავლასა და თავისუფალ დროს შორის ბალანსის დაცვა, ხოლო მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია სათანადო ყურადღება დაუთმოს ბავშვის შესაბამის მოსაზრებებსა და საჭიროებებს.
- 2.4.13. ჰქონდეს თავისუფალი დრო, ითამაშოს და მონაწილეობა მიიღოს რეკრეაციულ ღონისძიებებში თავისი ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.
- 2.4.14. მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და სპორტულ ცხოვრებასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.
- 2.4.15. დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულვებელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში.

- 2.4.16. დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის.
- 2.4.17. დაცული იყოს სექსუალური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისგან.
- 2.4.18. დასაბუთებული უარი თქვას სკოლის მიერ დაწესებული სასკოლო ფორმის ტარებაზე.
- 2.4.19. იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;
- 2.4.20. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის ექიმს (ექთანს).
- 2.4.21. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის ფსიქოლოგს ან/და ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს <https://befriend.mes.gov.ge/psychologists/>.
- 2.4.22. სკოლის მიერ დადგენილი წესების დაცვით შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის ბიბლიოთეკით;
- 2.4.23. სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სკოლის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლის სხვა სივრცეებით: სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი და სხვა.
- 2.4.24. შექმნას სასკოლო კლუბები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა გაერთიანება.
- 2.4.25. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;
- 2.5. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლება-მოვალეობები:
- 2.5.1. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვს:
- 2.5.1.1. მოითხოვოს სკოლის შენობაში შესვლა სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- 2.5.1.2. მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლის ფსიქოლოგთან, სკოლის ექიმთან;
- 2.5.1.3. ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ.
- 2.5.1.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;
- 2.5.2. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს არ აქვს უფლება:
- 2.5.2.1. დაწყებით და საბაზო განათლებას ჩამოაშოროს არასრულწლოვანი;
- 2.5.2.2. უგულვებელყოს მოსწავლის საბაზისო საჭიროებები.

### 3. შინაგანაწესი

3.1 თითოეულ მოსწავლე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე <https://albion.ge/>, აღნიშნული ასევე გაწერილია სკოლასა და კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

3.2 მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის აღმზრდელი აცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

#### 4. სასკოლო სასწავლო გეგმა

- 4.1. ყველა მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე <https://albion.ge/>. გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს
- 4.2. სასკოლო სასწავლო გეგმას ყოველწლიურად შეიმუშავენ სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგიერთი საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს მოსწავლეებთან/მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.
- 4.3. სსსმ მოსწავლის ან სხვა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.
- 4.4. სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:
  - 4.4.1. დააფიქსიროს პოზიცია, რომელი უცხოური ენის სწავლებას ისურვებდა II კლასიდან.
  - 4.4.2. დააფიქსიროს პოზიცია, რომელი არჩევითი საგნის სწავლებას ისურვებდა X კლასიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეთა უმრავლესობას ექნება იგივე პოზიცია, მოითხოვოს არჩეული საგნის სწავლება;
  - 4.4.3. დააფიქსიროს პოზიცია (დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს) ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღებას;
  - 4.4.4. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
  - 4.4.5. საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია.
  - 4.4.6. მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;
  - 4.4.7. კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით: პირისპირ ან დისტანციურად;
  - 4.4.8. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში;
- 4.5. სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლეს არ აქვს უფლება უარი თქვას რომელიმე სავალდებულო საგნის სწავლებაზე.
- 4.6. მოსწავლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაძლეული კლასის განმეორებით გავლა.

#### 5. სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

- 5.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია ისან-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;
- 5.2. თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ.

- 5.3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.
- 5.4. თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

